ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის 2024-2025 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის 2024-2025 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შედგენილია 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან გამომდინარე. ამ გეგმის ფარგლებში, განხილულია სხვადასხვა აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. წარმოგიდგენთ, 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშს და ანალიზს, სადაც დეტალურადაა გაწერილი რომელი აქტივობები შესრულდა სრულად, რომელი ვერ შესრულდა, ან შესრულდა ნაწილობრივ. ანგარიში ეყრდნობა შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, მათ შორის ზეპირ ანალიზებსაც. აქტივობები რომლებიც შესრულდა ნაწილობრივ, ან ვერ შესრულდა საჭიროა გადავიდეს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში, თუ მათი განხორციელება კვლავ აქტუალურია სკოლისთვის.

1. სტრატეგიული მიზანი**: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება**

სკოლაში წარმატებით შესრულდა შემდეგი აქტივობები: შემუშავდა სასწავლოპროგრამები/კურიკულემები; მოწესრიგდა და დაიხვეწა სასკოლო დოკუმენტაცია; შემუშავდა დამატებითი სასწავლო პროგრამები, რომლებიც წარმატებით განხორციელდა; ასევე შემუშავდა, დაინერგა და განხორციელდა სადამრიგებლოპროგრამები; სასკოლო პროექტები; გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა; დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან შესრულდა დამატებითი მუშაობა. წინასწარ დაიგეგმა საკონსულტაციო გრაფიკი და შედეგებმა დადებითი ტენდენციები გამოავლინა; სასწავლო წლის ბოლოს ყველა კლასში ჩატარდა დიაგნოსტიკური წერები; მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესასწავლად პერიოდულად ტარდებოდა მონიტორინგი; ჩატარდა სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგი; შესრულდა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და ანალიზი; მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის აქტივობები; გაიზარდა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაჩვენებლები; მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა წარმატებით შესრულდა; წახალისების მიზნით წარმატებული მოსწავლეები მთელი წლის განმავლობააში ჯილდოვდებოდნენ სერტიფიკატებით და სხვადასხვა ჯილდოებით; სკოლა მუდმივად მზად არის მოსწავლეთა მხარდასაჭერად და მიმღებლობითი გარემოს შესაქმნელად; მთელი წლის განმავლობაში მოსწავლეები მუდმივად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში. 2024-25 სასწავლოს წელს სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე ამის გამო სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება/სწავლება არ განხორციელდა. დაინერგა დიფერენცირებული სწავლება და სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დამკვიდრება.

სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებთან დაკავშირებით მასწავლებლები მუშაობდნენ აქტიურად, თუმცა საჭირო იქნება დამატებითი ტრენინგი და მხარდაჭერა მომავალი სასწავლო წლისთვის. შემუშავდა ხვადასხვა ტიპის კითხვარები, ჩატარდა გამოკითხვები, თუმცა შედეგების ანალიზი და შემდგომი მოქმედებების დაგეგმვა გაგრძელდება მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში.

2024–2025 სასწავლო წელს, 10, 11 და 12 კლასების ყველა მოსწავლეს სკოლის ადმინისტრაციის მიერ დაეგზავნა ინფორმაცია პროფესიული ორიენტაციის მხარდამჭერი პროექტის — **„კარიერის განვითარების აკადემიის“** — შესახებ. აღნიშნული ინიციატივა ხორციელდება **კარიერის განვითარების სააგენტოს** მიერ და მიზნად ისახავს მოსწავლეთა დახმარებას კარიერის დაგეგმვასა და პროფესიის სწორად შერჩევაში.

სურვილის შემთხვევაში, მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა დარეგისტრირებულიყვნენ და აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა პროექტის ფარგლებში დაგეგმილ მრავალფეროვან აქტივობებში, რომლებიც მოიცავდა:

- ონლაინ სემინარებს - აქტუალური პროფესიის მიმართულებით;
- ინტერაქტიულ ვორქშოფებს - კარიერული უნარების განვითარებისთვის;
- პერსონალური მენტორინგს პროფესიის არჩევის პროცესში.

ინფორმაციის გავრცელება განხორციელდა **ელექტრონული ჟურნალის "SchoolBook" პლატფორმის** მეშვეობით. აღნიშნულმა აქტივობამ ხელი შეუწყო მოსწავლეების კარიერული ცნობიერების ამაღლებასა და გააზრებული არჩევანის გაკეთებას მომავალი პროფესიული მიმართულების დასაგეგმად.

მიმდინარე სასწავლო წელი სკოლის კურსდამთავრებულებისთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული წარმატებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2024–2025 სასწავლო წელს **ხუთი კურსდამთავრებული** წარდგენილი იქნა **ოქროს მედალზე**, რაც სკოლის აკადემიური სტანდარტების, სწორი მართვისა და მოსწავლეთა მოტივაციის შედეგია. მათ გამოიჩინეს მაღალი პასუხისმგებლობა სასწავლო პროცესისადმი, მუდმივი პროგრესი აკადემიურ მიმართულებებში და ჩართულობა სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მათი წარდგენა ოქროს მედალზე მხოლოდ ფორმალური აღიარება კი არაა — ეს არის იმ მრავალწლიან შრომასა და თანმიმდევრულ მიზანმიმართულ სწავლებაზე დაფუძნებული მიღწევა, რაც მომავალში კიდევ უფრო მაღალ შედეგებს დაუდებს საფუძველს. სკოლა განსაკუთრებული მოლოდინით ელის მათ **ბრწყინვალე გამოსვლას ეროვნულ გამოცდებზე**, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურებს სკოლის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო სივრცის ეფექტიანობას და მოსწავლეთა პიროვნულ სიძლიერეს.

2. სტრატეგიული მიზანი**: ადამიანური რესურსის განვითარება**

წარმოდგენილი მიმართულებით სკოლაში გვყვავს წამყვანი, უფროსი და მაძიებელი მასწავლებლები. მიმდინარე სასწავლო წელს სტატუსის ასამაღლებლად მოგვმართა ბუნებისმეტყველებისა და ბიოლოგიის პედაგოგმა - ბექა მიჩიტაიშვილმა, რომელიც 2025 წლის მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდაზე გადის. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, მასწავლებელთა დაკვირვებას და პროფესიულ უკუკავშირს

აძლევს მასწავლებელს. აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით სკოლა ახორციელებს ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და ხელს უწყობს მათ დასაქმება-განვითარებას. 2024-2025 სასწავლო წელს, სკოლამ გააგრძელა წარმატებული პრაქტიკის წახალისება და გუნდის მოტივაციის ხელსეწყობა. აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივით, იმ მასწავლებლებს, რომლებისც გამოირჩეოდნენ პროფესიონალიზმით, სიახლეების დანერგვითა და მაღალი შედეგებით, გადაეცათ ფულადი პრემიები და საპატიო სერტიფიკატები.

ასევე აღსანიშნავია, რომ ჩვენი სკოლის ოთხმა მასწავლებელმა - თათია მხეიძემ, მაია ხელაძემ, გიორგი დანელიამ და ჯუმბერ თომაძემ - აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით 5-7 ივნისს, **ფონდ „ლაზარეს“ მიერ ორგანიზებულ ტრეინინგს,** „სამშვიდობო განათლება და მშვიდობის კულტურა სასწავლო გარემოში“, დაესწრნენ. ტრეინინგი ბობოყვათის საპატრიარქო რეზიდენციაში გაიმართა.

მნიშვნელოვანი ნაბიბიჯი გადაიდგა 2025 წლის 1 მაისსაც, როდესაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა (CIU) და საპატრიარქოს განათლების ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შეხვედრას სკოლის აღმასრულებელი დირექტორი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ეს მნიშვნელოვანი პარტნიორობა CIU-ში ჩარიცხულ საპატრიარქოს განათლების ცენტრის სკოლების კურსდამთავრებულებს 40%-იან შიდა გრანტს სთავაზობს! გარდა ამისა, თანამშრომლობა მოიცავს პროფესიული ორიენტაციის ტრენინგებს, ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ აქტივობებსა და საინტერესო შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტებს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის. სიახლე სასიხარულოა პედაგოგებისთვისაც, რადგან CIU მათთვის გადამზადების პროგრამებს განახორციელებს. ასევე, სემინარის **„კარიერული ორიენტაცია და აკადემიური მზაობა“** მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლა მონაწილეობდა სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა II რესპუბლიკურ კონფერენციაში თემით **„კონფლიქტი და კონტრასტები ლიტერატურის, პროზისა და პოეზიის გზაზე“**, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პლატფორმა იყო პედაგოგების პროფესიული განვითარებისათვის.

ჩვენი სკოლის მასწავლებლები დაესწრნენ „English Book Education”-ის მიერ ორგანიზებულ ინოვაციური სწავლების რამდენიმე ტრენინგ-კურსს, რომლებიც განკუთვნილი იყო მათემატიკისა და ინგლისური ენის პედაგოგებისთვის. ტრენინგების შინაარსი ეფუძნებოდა თანამედროვე მიდგომებს, მოსწავლეებზე მორგებულ სწავლას და საგნობრივი კომპეტენციების გაძლიერებას. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

გარდა პედაგოგიური გუნდისა, პროფესიული განვითარების შესაძლებლობა მიეცა სკოლის არაპედაგოგიური პერსონალის წარმომადგენლებსაც. კერძოდ, ჩემმა

ინიციატივით სკოლის ფსიქოლოგი და ექიმი მონაწილეობდნენ შესაბამისი პროფილის ტრენინგებში, რომლებიც მიზნად ისახავდა მათი პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებას, თანამედროვე სტანდარტებისა და მიდგომების შესწავლას. ტრენინგი მნიშვნელოვანი იყო როგორც უსაფრთხო და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის, ასევე მოსწავლეთა ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის კუთხით. მონაწილეებმა წარმატებით დაასრულეს ტრენინგი, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში არსებული სერტიფიკატებით.

სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივით, 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში წმინდა ნინოს სახელობის სკოლის მასწავლებლებისთვის ჩატარდა პრაქტიკული ტრენინგი თემაზე – „პირველადი სამედიცინო დახმარება“. ღონისძიების მიზანი იყო მასწავლებლების აღჭურვა იმ აუცილებელი ცოდნითა და უნარებით, რომლებიც მათ გადაუდებელ სიტუაციებში სწრაფი და ეფექტური რეაგირების შესაძლებლობას მისცემს.

ტრენინგის ფარგლებში, რომელსაც უძღვებოდა ექიმ-პედიატრი თამარ ადეიშვილი („პირველადი დახმარების ცენტრი • First Aid Center“), მონაწილეებმა შეისწავლეს შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარების განხორციელება ადგილზე;
- გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკა;
- უცხო სხეულის გადაცდენისა და გადაყლაპვის შემთხვევების ამოცნობა და მართვა;
- მაღალი ტემპერატურის შეფასება და ცხელების მართვის ძირითადი პრინციპები;
- ალერგიული და ვირუსული რეაქციების დროს გადაუდებელი დახმარების გაცემის უნარების განვითარება.

ტრენინგის წარმატებით ჩატარება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია სკოლის სტრატეგიული მიზნის – უსაფრთხო და დაცული საგანმანათლებლო გარემოს შექმნის – განსახორციელებლად. მასწავლებლების მიერ მიღებული ცოდნა ზრდის მათ პროფესიულ თავდაჯერებულობას და ქმნის გარანტიას, რომ მოსწავლეები იმყოფებიან კომპეტენტურ ადამიანებთან, რომლებიც მზად არიან კრიტიკულ ვითარებაში სწრაფად იმოქმედონ.

ყველა მონაწილეს გადაეცა ორწლიანი ვადით მოქმედი სერტიფიკატი, რაც ადასტურებს მათ კომპეტენციას პირველადი დახმარების გაწევაში.

3. სტრატეგიული მიზანი: **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება**

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია განათლების სისტემის განვითარების კონტექსტში. თანამედროვე სასწავლო პროცესები და მოთხოვნები მოითხოვს სკოლებში თანამედროვე ინფრასტრუქტურის, ტექნოლოგიებისა და რესურსების არსებობას. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ სკოლამ დაიწყო ეზოს ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოები. კონკრეტულად, დაიწყო ძველი ღობის დემონტაჟი და ახალი ბეტონის ღობის მოწყობა, რაც მნიშვნელოვანია უსაფრთხო და ესთეტიურად მოწესრიგებული სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად. მთელი წლის განმავლობაში საჭიროებისამებრ ახლდებოდა ინვენტარი და სხვა მასელები; ივსებოდა წიგნადი ფონდი; ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები საჭიროებისამებრ მარაგდებოდა ცდების ჩატარებისთვის აუცილებელი მასალებით; ახლდებოდა სპორტული ინვენტარი; გაუმჯობესდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა; მუდმივად განახლებადი იყო სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი.

4. სტრატეგიული მიზანი: **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა**

სკოლის უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია, რადგან ის გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე, ემოციურ კეთილდღეობასა და პიროვნების განვითარებაზე. სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დაცვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სკოლის მიერ შემუშავდა უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ საგენგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეათანხმა სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ვიდეო კამერების მონიტორინგმა გაზარდა სკოლის უსაფრთხოება და უზრუნველყო, რომ ნებისმიერი ინციდენტი დროულად და ეფექტურად იქნას გამოვლენილი და განხილული. სკოლამ მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებელს გააცნო სახანძრო უსაფრთხოების წესები, თუმცა ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება გადაიდო მომავალი სასწავლო წლისათვის. სახანძრო უსაფრთხოების სამსახურთან გაგზავნილი იყო წერილი, რის საფუძველზეც განხორციელდა ვიზიტი სკოლაში. სპეციალისტებმა შეამოწმეს სკოლაში არსებული მდგომარეობა და მოგვაწოდეს რეკომენდაციები არსებული სისტემების სრულყოფისა და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად მოწყობის მიზნით. ვიზიტის შემდეგ, გაცემული რეკომენდაციების შესრულება უკვე დაწყებულია. ეტაპობრივად განხორციელდება ყველა იმ ხარვეზის აღმოფხვრა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების სისტემების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან. პოზიტიური გარემოს შექმნამ სკოლაში ხელი შეუწყო მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის ზრდას. მასწავლებელთა მორიგეობის სისტემის შექმნამ ხელი შეუწყო დისციპლინისა და წესრიგის დაცვას სკოლაში. ცნობიერების ამაღლების მიზნით მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრების ორგანიზებამ გააძლიერა სკოლისა და ოჯახების თანამშრომლობა, რაც მოსწავლეთა კეთილდღეობას და უსაფრთხოებას უწყობს ხელს.

5. სტრატეგიული მიზანი: **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

მშობლებს ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ მიეწოდებათ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ეს საშუალებას აძლევს მშობლებს, მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი შვილების აკადემიური მიღწევებისა და პროგრესის შესახებ. დამრიგებლები ასევე უკავშირებოდნენ მშობლებს ტელეფონის მეშვეობით. ეს უფრო პერსონალური და პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებაა, რომელიც საშუალებას იძლევა, უფრო სწრაფად და ეფექტურად მოხდეს ინფორმაციის გაცვლა და მშობლებთან ურთიერთობა. სასწავლო წლის მიმდინარებისას მოხდა მშობელთა გამოკითხვა, რომლის მეშვეობითაც მათ დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხებზე: სასწავლო პროცესი; სკოლის მატერიალურ-ტექნიკური
მდგომარეობა; სკოლის უსაფრთხოება. მშობელთა კმაყოფილების კვლევის ჩატარებამ და მიღებული შედეგების გათვალისწინებამ სასწავლო პროცესის დახვეწა/გაუმჯობესებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები და საჭიროებები გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო პროცესის დაგეგმვაშიც. მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებებისა და პროექტების ორგანიზებამ გააძლიერა სკოლასა და ოჯახს შორის კავშირი. მშობელთა კრებების და ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებამ გააუმჯობესა ურთიერთობა მშობლებთან და ხელი შეუწყო მათი ჩართულობის ზრდას სკოლის ცხოვრებაში. მიმდინარე სასწავლო წელს დისციპლინური გადაცდომა არ დაფიქსირებულა.

6. სტრატეგიული მიზანი: **მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება**

სკოლამ არა ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესების მიმართულებით. სკოლაში შემუშავდა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რაც გულისხმობს მოსწავლეების და მასწავლებლების ინიციატივების გათვალისწინებას და მხარდაჭერას. ინიციატივების მხარდაჭერა ხელს უწყობს სკოლაში ინოვაციური იდეების განხორციელებას და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. განხორციელდა გასაჩივრების მექანიზმები და კანონიერი უფლებების დაცვის წესების შემუშავება. ეს მექანიზმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს და მათ მშობლებს, დაპირისპირებების და უთანხმოებების შემთხვევაში, მიმართონ შესაბამის ორგანოებს და მიიღონ სათანადო გადაწყვეტილებები. სკოლაში ჩატარდა არა ერთი სასკოლო ღონისძიება და პროექტი. მოსწავლეები იმყოფებოდნენ ექსკურსია-ლაშქრობებში. შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვამ და ორგანიზებამ, როგორიცაა გასვლითი გაკვეთილები და მიზნობრივი ექსკურსიები, მოსწავლეებს პრაქტიკული ცოდნის მიღებისა და რეალურ გარემოში სწავლის საშუალება მისცა. გამყარდა მათი თეორიული ცოდნა და გაიზარდა ინტერესი. წრეების ფუნქციონირებისა და გამრავალფეროვნების შედეგად, მოსწავლეებს საშუალება მიეცათ უფრო ფართო ინტერესების სფეროში ჩართულიყვნენ, რაც მათ ჰობებისა და უნარების განვითარების შესაძლებლობა მისცა. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვამ ხელი შეუწყო ახალ მოსწავლეთა სკოლის გარემოში მარტივად ინტეგრაციას.

7. სტრატეგიული მიზანი: **ორგანიზაციული განვითარება**

სკოლამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თანამშრომლობა საქართველოს სკოლებსა და უნივერსიტეტებთან. ერთობლივი პროექტების დაგეგმვამ და განხორციელებამ ხელი შეუწყო როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას. სხვადასხვა ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმებამ და თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი სკოლის ქსელი, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალი პროექტების და ინიციატივების განხორციელებისას მეტი რესურსების და შესაძლებლობების გამოყენებას. სკოლის მმართველობითი პოლიტიკისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების შედეგად, სკოლის მიმართ ინტერესის ზრდა თვალნათელი გახდა. ეს ინტერესი, სკოლის სოციალური ქსელისა და ვებ-გვერდის ეფექტური გამოყენებით, კიდევ უფრო გაძლიერდა, რაც სკოლის პოპულარიზაციასა და ცნობადობას გამოადგა. ამ ყველაფერმა თავის მხრივ, სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის ზრდას შეუწყო ხელი. გაზრდილი მოსწავლეთა რაოდენობა მეტს აძლევს სკოლას მომავალში განვითარებისთვის და უკეთესი შედეგების მიღწევისთვის. სკოლის თვითშეფასების პროცესისთვის მომზადებული სამუშაოების ორგანიზება წარმატებით განხორციელდა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სკოლაში მიმდინარე პროცესებს.

2024-2025 სასწავლო წლის დასასრულს, სკოლის ადმინისტრაციამ დააჯილდოვა გამორჩეული მოსწავლეები საზაფხულო ბანაკებით, რომლებმაც აკადემიური მოსწრებითა და სამაგალითო დისციპლინით გამოიჩინეს თავი. მაღალი მიღწევებისთვის, ეს მოსწავლეები გაემგზავრებიან ორ სხვადასხვა საზაფხულო ბანაკში:

- **თრუსოს ხეობა** – მოსწავლეები გაემგზავრებიან საქართველოს ულამაზეს ბუნებაში, სადაც ელით დაუვიწყარი დასვენება, აქტივობები და პიროვნული ზრდის შესაძლებლობები.

- **საერთაშორისო ბანაკი სომხეთში** – ეს უნიკალური შესაძლებლობაა, მოსწავლეებმა მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება და გაიცნონ თანატოლები სხვა ქვეყნებიდან.

საზაფხულო ბანაკები მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას, დაისვენონ, შეიძინონ ახალი ცოდნა და გააუმჯობესონ სოციალური უნარები საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ გარემოში.

შეჯამება:

2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში დაგეგმილი აქტივობების უმრავლესობა წარმატებით შესრულდა, თუმცა რამდენიმე აქტივობ გადაიდო მომავალი სასწავლო წლისათვის. მუშაობა გაგრძელდება აქტიურად, რათა სასწავლო პროცესის ხარისხი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს და მოსწავლეთა მიღწევები გაიზარდოს.